ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი
კუჭავას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №67 დადგენილების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, გასული წლებისგან განსხვავებით, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის დასახლებებზე განაწილებას მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინებით ახდენს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი 627,577.00 ლარის განაწილების საფუძველია დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის რიცხოვნობა, გარდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრისა, რომელზეც პროგრამა არ ვრცელდება.

გამოყოფილი თანხა დასახლებებზე განაწილებულია შემდეგი პრინციპის დაცვით:

ა) 1-დან 200 სულის ჩათვლით დასახლებისათვის - 4 000 ლარი;

ბ) 201-დან 400 სულის ჩათვლით დასახლებისათვის - 5 000 ლარი;

გ) 401 - დან 1000 სულის ჩათვლით დასახლებისთვის - 8 000 ლარი;

დ) 1 000 -ზე მეტსულიანი დასახლებისათვის - 12 000 ლარი.

გაანგარიშების შემდეგ დარჩენილი თანხა ნაწილდება მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშების მაჩვენებლის მიხედვით. აღნიშნული მაჩვენებელი იანგარიშება თითოეული დასახლების მოსახლეობის რაოდენობის 11.9147117 კოეფიციენტზე ნამრავლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ 2015 წლის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის დასახლებებზე განაწილების განკარგულების პროექტს.

პატივისცემით,
მუნიციპალიტეტის გამგებელი: ირაკლი კუჭავა

დასკვნა

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს - საკრებულოს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

განკარგულების საფუძველია ,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №67 დადგენილება და ,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსის

მოვალეობის შემსრულებელი: *ნინო ვაჩეიშვილი*